

მასკონი

5

თარგმნული
ბიბლიოთეკა

გამოსვლის 51-ე წელი, № 1423). პარტი. 1974. ფასი 20 კაპიკი.

— რას უშვებს თქვენი პარტანა?
— გოლს!





74

სარკვეპრტო სამიკი
ნონა, ნანა და მანია.



თქვენ შოთამ ისე გადიდათ, მე რაღას გეტყვით სხვას, დიდას? —
„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.
სწორი ხართ, სულის სწორებო, ყველა გმირის და

ვაყვაცის!
ახლა ქვეყანას აკვირვებს საქმენი თქვენი, წარმტაცი!
დიდი ლენინი გვასწავლის: შვებას ვერ დავუფლებით,
თუ არ აღვაესეთ ქალები ლხენით და თავისუფლებით!
აჰა, დღეს ლხენაც თქვენი, — ზეიმიც, ტაშიც, სიმღერაც!
რამდენიცა ხართ, იმდენი გულში მზის შუქი იღვრება!
რამდენიცა ხართ, იმდენი ვარდი მამულში რგულია!
რამდენიცა ხართ, იმდენი ტრფობა და სიყვარულია!
რამდენიცა ხართ, იმდენი და გვყავს პირბადრი, მზექალა!
რამდენიცა ხართ, იმდენი დედა ჰყავს ხალხს და ქვეყანას!
რამდენიცა ხართ, იმდენი ლექსი გეკუთვნით ქალებსა...
თუმცა... ზოგიერთ ქალბატონს თავისებურად გავლექსავ:
დედო, რომ ვთქვი, დედობა ზოგიერთს როდი იტაცებს,
თავის თავს ეკეპლუტება, რომ არ დაჰკარგოს სინაზე;
რომ შესძლოს კოხტა ტან-ფეხით სულ „ანგელოზად“

დარჩენა,
როგორც წიწილა ქორ-ძერას, — გაუბრის შვილის გაჩენას.
ასეთებს ვკადრებ პირდაპირ (თუმც მინდა შვილი

გუსურვო):
უშვილო ქალი ლამაზი თოჯინა გახლავთ, უსულო!
ახლა ზოგიერთ ქალიშვილს, მინდა, ავუწვა ლოყები,
ზოგ-ზოგ ნაკლს ჩამოვუთაკლავ, ყველაფერს როგორ

მოვყვები?
არიან ლამაზმანები, შეხედავ, მტრედი გვონია,
ის კი აბოლებს სიგარეტს, კაცივით ყლაპავს კონიას.

მათაც შევკადრებ: გმირობა ქალს მართებს კაცის
„ჩინაზე“,
მაგრამ არ უნდა დაჰკარგოს ქალმა ქალური სინაზე!
ახლა კაცებზეც გადავალ: გვყვანან იმგვარი კაცები,
მათგან მრავალჯერ ყოფილხართ, ქალებო, „პატივნაცემი“
ზოგ ქალს ქმარი ჰყავს ისეთი, სულ რომ არ ჰყავდეს,
ჯობია:

ზანტი, ავყია, უქნარა ოჯახს თავს წამოხდომია.
ზოგია ხარბი, თავკერძა, პატივმოყვარე — ბატივით,
არ გააჩნია, უგულოს, ქალის რიდი და პატივი!
ახალგაზრდებიც, აქა-იქ, გვხვდებიან ჭკუამწყრალები,
პატივისცემის ნასახიც არ გააჩნიათ ქალების!
ზოგი უხანო დედაბრის გაქილიკებას არ იშლის!
ზოგი უშვარი სიტყვებით არცხვენს ჭეჩამი ქალიშვილს!
მანდილოსნისთვის ძაღლსაც კი არ შეუყვავს, ქეცინას.
შეურაცხყოფი ქალისა, კაცი კი არა, მხეცია!
თქვენს ბრწყინვალებას, ქალებო, რას დაჩრდილავენ
ლაქები?

ხართ ქვეყნის მშვენიერება, ათას მგოსანთა ნაქები!
თქვენ, მამაკაცის მხარდამხარ, სქედთ სევედნიერ

ცხოვრებას,
არცერთი საქმე, გმირული, თქვენ აღარ გეუცხოვებათ:
ხართ მეჩაიე, მწველავი, მეზვარი, მემინდვარი, მეზაღე,
მეკომბაინე, მესაჭე... კოსმოსის კარიც შეიღეთ!
ხართ ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი, მწერალი...
თქვენ დაიპყრით შრომაში ყველა მაღალი მწვერვალი!
დღეს თქვენი დღეა, კამაშა, თქვენი მანდილით დაცული,
თავს გიბრით, გეამბორებათ დღეს ყველა კაცი კაცური!
თავს გხურავთ ვარდის გვირგვინებს, თვალში შეგცქერით
ნორჩივით,

დღეს ყველა დედოფალი ხართ! ჩვენ — თქვენი მონა-
მორჩილი!

დღეს თქვენი დღეა, ლამაზი: გაზაფხულია, მარტია!
ქალებო, ცამდე გადიდებთ სამშობლო, ხალხი, პარტია!

მეგობრული უარში ზ. ფირცხალავანი

მალმეძიარ საათი, საქალაქ-
თაშორისო ტელეფონის მსგავ-
სად, ფეთიანივით აწვრილდა.
— დათიკო, გესმის?!

— დათიკო, უკვე შვიდი
საათია, გაიღვიძე, კაცო, არ
გესმის?!

— აჰა!..
— ადექი, თორემ ისევ და-
იგვიანებ სამსახურში! ღმერ-
თო, რა შეგცოდნე ასეთი! ყო-
ველ დილით ერთი და იგივე!..
ვინ დამწყევლა, ნეტავი?.. და-
თიკო!

— ჰო!..
— გაინძერი ახლა, კარგი!..
გადმობრუნდი, კაცო!.. შენ
ჩემი ლაპარაკი არ გესმის? ეგ,
გუშინ რომ გააბრტყელე, ვაჟ-
ბატონო, ბრწყინვალე სადღე-
გრძელოები, იმის ბრალი ხომ
არ არის?!

— აჰა!
— ჯანდაბა! დღეს სამსა-
ხურში არ მიდიხარ?... 8 მარ-
ტის დედოფალს, ჩვენს მომ-
ხიბლავ და კდუმამოსილ ქალ-
ბატონ გულნარას გაუმარჯოს,
რომელიც... ნეტავი, ახლა შე-
მოახედა იმ დედოფალს!

— ჰო!..
— ჰო შენა და ზასრუმა!
გამაგიჟებს ეს კაცი! შენ არ
მიტხარი, დილაობით ადრე
გამაღვიძე?

— აჰა!..
— მოიტა ეგ საბანი, გაუ-
შვი ხელი! ასე! ეგდე ახლა
მასე შიშველი! მოგიხდება პახ-
მელიაზე... ადექი, კაცო, ადე-
ქი, გაახილე თვალები და
შემომხედ! ძილში ხომ არ
გაიპარავეს ოხერი? შენ გეუბ-
ნები, დათიკო!

— ჰო! ჰო!..
— ჰირი შენ და ძილქუში!
ადექი! ადექი! ადექი! ტომარა-
სავით უნდა გაჯანჯლარო,
თორემ ისე არაფერი გამოვა!..
წამოჯექი! ასე! ახლა ჩაიცვო
ფოსტლები! ჰე, ჰე, ყოჩაღ, აბა.
წამოდექი და გაცუნცულდი
აბაზანაში! კარგად შეიშაპუნე
ცივი წყალი, სადღეგრძელოე-
ბის მუშებისაგან გახურებულ
შუბლს გაგიგრილებს, მე სამზა-
რეულოში გავალ, აბა, ჰე!

— კაი, კაი!..
— ახლა როგორა ვგრძნობთ
თავს? ეს უკვე სხვა საქმეა...
ჩვენს თამადას გაუმარ-ჯოს!
არ ვარგა! გაუმარ-ჯოს! კარ-
გია! ჩაი დაგისხა? არ გინდა?
თუმცა უკვე ვეღარც მოასწრებ
დალევას. მასე გასაპარსი აპი-
რებ წასვლას? გაიპარე უცებ!..
ნელა, ჩაი ცხელია, ზედ არ
გადასხა წუხანდელივით! ეგ
საროჩკა არ ჩაიცვა, ღვინითა
და საცივითაა, ბატონო, გაუ-
წული! აი, ეს ჩაიცვი! რა ვიცი,
სად დაგდე წითელი ჰალსტუ-
ხი?! ისიც ჩაოხრებული იქნე-
ბა... სხვა გაიკეთე! რაღაც
ქალაღდების წაღებას რომ აპი-
რებდი? კი, საწერ მაგიდაზეა.
მე მოგიტან, შენ თავს მიხე-
დე!.. გამომართვი!.. ჰო, რაღა-
ცის თქმა მინდოდა... მოიცა,
ტაქსით წადი!.. ცხვირსახოცი
გაქვს?!

— რაზე მობრუნდი, კაცო?
ნამდვილად ვამაგიჟებს ეს
ადამიანი!

— რაზე და, ამ შაბათ დი-
ლით რომ წამომაგდე, შენ
ღმერთი გწაამს?!

მურჯაყან ცოლიანი



პირველი სარეპარტო სარეპარტო

ირაკლი უფიანო

ბოხნა ბაიხსნა

— რუზანა მოვიდა! — შეპკივლეს ქალებმა.

— ჩვენთან შემოიყვანეთ!

— არა, მაქ დაგვინახვენ...

ქალები ტერციალით შემოეხვივნენ რუზანას და მოუთმენლად ელოდნენ ბოხნების გახსნას... ამ დროს, სად იყო და სად არა, კატასავით ისკუბა ადგილკომის თავმჯდომარემ და რუზანა, თავის ბოხნებიანად, ღირექტორის კაბინეტში შეათრია.

— სპეკულანტი დავიჭირე, პატ. ზახარჩი! — დაიწყო აღელვებულმა თავმჯდომარემ, — კარგა ხანია, შემოეჩვია ჩვენს დაწესებულებას, ხელფასის დღეებში მოდის, იკეტებიან ჩვენი ქალები ხან სად, ხან სად და არის საათობით ერთი აზომ-ჩაზომვა... ჩვენი ქალები სულის კაწკაწით ელიან ამის გამოჩენას.

— ეს რეები მესმის! — განცვიფრებით წამოიძახა ღირექტორმა, — თქვენ ეს ამბავი დიდი ხანია იცით და აქამდე საქმის კურსში არ ჩამაყენეთ? რას ჰგავს ეს!

— კი ვიცი, ზახარჩი, მაგრამ ქალები ოთახებში იკეტებიან და იქ არავის უშვებენ...

— მერე, ქეთო? რისთვის გყავს მოადგილე, ვერ შეგზავნი?

— შეგზავნე ერთხელ და რომ გამოვიდა, ველარ ვიცანი, თავიდან ფეხებამდე კიოსავით იყო გამოწყობილი.

— კმარა! — შეაწყვეტინა ღირექტორმა, — რაკი აგრეა, მე თვითონ მოვუვლი ამ საქმეს! რა გაქვს, ქალო, ბოხჩაში?

— არაფერი, უფროსო!

— გამოტყდი, თორემ! — ღირექტორმა ყურმილს დაადო ხელი, — მე ბევრი ლაპარაკი არ ვიცი!

— მილიცია რად გინდა, უფროსო, ბავშვს ფეხსაცმელები მაქ, თორმეტი შვილი მყავს, მა რა გქნა? გამოშვი, ჩემთვის წავალ...

— წახვალ! — იქუხა მან. — მე ვიცი, სადაც წახვალ!

ამ დროს დაუკითხავად გაიღო კარი და თანამშრომელი ქალები კაბინეტში შემოცვივდნენ.

— პატ. ღირექტორო, ეს ერთხელ აპატიეთ, გამოუშვით. მეტს აღარ მოვა..

— ნუ დააჭერინებთ, ცოდოა, მრავალშვილიანი დედა და თანაც მარტოხლა...

— მთლად ისე მეძვირეც კი არ არის, მარტო სამშაგს იღებს...

— თან ფულს ადრე მივეცი და ახლა საჭონელი მოგვიტანა.

— მერე, სულ იმპორტული მოაქვს...

— ჩუმად! მეც აღამიანი ვარ! — იყვირა ღირექტორმა. — როგორ მიბედავთ?! ხელი დაფარო სპეკულანტს? საით მიბიძგებთ, თუ იცით?! ახლავე დატოვეთ კაბინეტი! მანქანა!

როცა რუზანას მანქანაში სვამდნენ, ქალებს ქვითინი აუფარდათ.

— რად დამლუპე, უფროსო! — გულგამგმირავად იბღაღლა რუზანამ და მანქანაც ადგილს მოსწყდა.

— სს! — ჩაესმა ყურში რუზანას ღირექტორის ილუმალი ხმა. — რა ზომაა შენი ფეხსაცმელები? მეც მყავს ცოლ-შვილი...

სპეკულანტმა ერთი კი დააჭყიტა თვალები და უცებ ღიმილისგან სახე გაეზარდა...

— ეგრე გეთქვა, უფროსო, გული კინალამ გამიხეთქე!

— მაშინ იმათ რა გადაურჩებოდა! ბოხჩა გაიხსნა...

როცა იყავ სასიდედრო,
სანამ გახდი სიდედრი,
გახსოვს, როგორ დამიწრიტე
ცოლის შერთვის იმედი?
გახსოვს, ჩემზე რომ ამბობდი:
„ჭადიც არ აქვს სადილად,
თუ წამართვა ქალიშვილი,
მიშიმშილებს ნამდვილად!
არც სახლი აქვს, არც კარი აქვს,
არც ეზო და ჭიშკარი,
თუ წამართვა ქალიშვილი,
უნდა ასგან ჭის წყალი!
უნდა ხვეტოს იატაკი,
წვლებით და ჯახირით,
კრუხი კვერცხზე დააჯინოს,
დააპუროს ნახირი;
გაიმუროს, დაითითხნოს
ქვებებით და ტაშტებით,
დიდუ! დიდუ! დიდუ! დიდუ! —
გააჩინოს ბავშვები!
იქით რეცხოს თევშები და
აქეთ ლესოს ლობიო,
უკან სდიოს ხბოს და ძროხას,
გახდეს სოფლის გომბიო!
რუსთაველზე ვერ გაივლის
მინზე მინის კაბებით.
აპრეხილი წამწამებით,
შეღებილი წარბებით;
მგონი, გოგო გადარიეს,
გაცურებას მიპირებს,
თუ ეს საქმე არ ჩავშალო,
მიტირეთ და მიტირეთ!“

ჰოდა, ერთი დღეც გათენდა,
რომ თენდება, ისეთი:
დავჭოწინდით მე და ცირა
სიყვარულის მიზეზით!
მაგრამ რადგან სოფლად ყოფნა
აღარ არის მოდაში,
ვცხოვრობთ აგერ, რუსთაველზე,
ნაჭირავენ ოთახში...
შერიგება მონინდომე,
მომიგზავნე ელჩები:
დები,
ძმები,
დისშვილები,
ერთმანეთზე ლენჩები!..
როგორც იქნა, შემირიგდი,
გახდი ბედის მორჩილი,
გადამკოცნე, მომილოცე
სამდლიანი ქორწილით.
დრო გავიდა, შეგეცვალა
ხასიათიც, კილოცა,
სიდედრი ხარ, მაგრამ მაინც
რვა მარტის დღეს გილოცავ!..

გურამ კლდიაშვილი

ნახ. ჯ. ლოლუასი



წინათ: — მიშველეთ, ქალი მომტაცეს!



ახლა: — მიშველეთ, ქული მომტაცეს!

სიყვარული და ურთიერთობები

პირველი: თუკი ერთმანეთს ვეფონებით და ვენდობით.
თუკი თავ-კისერს ვიღერებთ თქვენი დობით და დედობით.
თუკი ქალსა და კაცს შორის სულ აღარ არის გარჩევა,
გმირ დედას ვარსკვლავს რომ ვკიდებთ, მამიკო განზე რად გვრჩება?

დიაცებს, მამრის ქუდიტა, თავი რომ მოგწონთ, ირთვებით.
შარვალი ძალით აგვლიტეთ და არც ამისთვის წითლდებით!
რაკი ღვთიური სინაზე გაანიავეთ, მოღუშეთ,
მეორე კითხვა ესაა: წვერ-ულვაშს როდის მოუშვებთ?

გიდგათ მანქანა სარეცხის, გარაჟში გიდგათ „ჟიგული“,
გზაც თქვენია და საჭეცა, გადაინერგეთ ქვის გული!
ეს ის კითხვაა, მესამე, ტვინი რომ გადააქანა,
თქვენთვის, ამ 8 მარტს, ქალებო, კაცნი ვართ ჩვენ თუ მანქანა?!

სიტყვა ხმალია, ფოლადი! — დაჰკრავთ და ნერვებს მოსერავთ!
ორს ვინა ჩივის? არ გინდათ ცალი ყურითაც მოსმენა!
თქვენ ისიც აღარ გაკვირვებთ, რაც ჩვენ ძალიან გვიკვირსო,
გკითხავთ მეოთხედ: არ ნატრობთ ჩვილის ტირილს ან ტიკტიკოს?

იციტ, რომ ველარ წველიან, მალ-მალ ჩიტის რძეს დაგვიკვეთთ,
ზაფხულში — წყლის და ზამთარში — თოვლის თხილამურს არ იკლებთ!..
მაინც კი თქვენი სახება, თქვენი სახელი გვაბოდებს,
უთქვენოდ არც გაგვიძლია, არც გაგვიძლება აროდეს!

ზაზა კაციშვილი



გეგმვა-
სიგნოს-
ტის



ಇವನು ಒಬ್ಬ!

შპრო შორეულ წინაპარზე -- ზაზა ფანასკერტელზე რომ არაფერი ვთქვათ, არც ისე შორეული წინაპარი ივანე გომართელი ვახსენოთ, ან სულაც ჩვენი დროის დიდი ექიმები ჩამოვთვალოთ, მათი სახელების ხსენებაც კი შეაშინებს მიქელ გაბრიელს.

ერთ დროს ექიმი თერაპევტიც გახლდათ. დასტაქრიც, გინეკოლოგიც, ოფთალმოლოგიც, აფთიაქარიც, თვითონ სვამდა დიაგნოზს, თვითონ მკურნალობდა და ზოგჯერ, თურმე, წამლის ფულისაც თვითონ აძლევდა ავადმყოფს...

ახლა ერთ ავადმყოფობას ასი ექიმი მკურ-
ნალობს და, შესაძლოა, მომავალში 32 კბილს
32 ექიმი მკურნალობდეს.

როგორც წესი, ექიმად კურორტებისას ყველა ჰიპოკრატეს ფიცს დებს, რომ თავის დაუზოგავად იბრძოლებს ადამიანის სიცოცხლისათვის.

მაგრამ ამჯერად ფიცი გვწამს, ბოლო გვაქ-
ვირვებს.

აქვე გვინდა შევნიშნოთ: ამ კრიტიკულ შენიშვნას მარტო წინამდებარე ფაქტი რომ ედოს საფუძვლად, მაშინ, იქნებ, საფუძველ-მოკლებულიც ყოფილიყო და ჩვენც მათსა-ვით დავდუმებულიყავით, ვინც სამუდამოდ დუმს ან პირზე აფარებენ ხელს.

1973 წლის 19 ოქტომბერს, აბაშის რაიონის ჩაის ფაბრიკის ცვლის უფროსი, ინჟინერ-ტექნოლოგი, 25 წლის მ. გ-ლი მუცლის არეში ტკივილმა შეაწუხა. ავადმყოფი ექიმმა თერაპევტმა ტ. პ. გრიგოლიამ გასინჯა. მას მხოლოდ ექვი დაეხდა კვებით ტოქსიკო-ინფექციაზე, მაგრამ თავს ვერ ენდო და საკონსულტაციოდ გამოიძახა ექიმი-ინფექციონისტი. თ. დ. ცომაია, რომელმაც კვერი დაუკრა, მოწამლულიაო. ავადმყოფი აბაშის რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს ინფექციურ განყოფილებაში მოათავსეს. ვისაც როგორ სცოდნია, ისე წარუშმართავს მეურნეობა. მდგომარეობა უარესდება. როგორც იქნა, 18 საათის შემდეგ, გამოიძახეს ქირურგი ი. გ. კაზირია. მას სისხლისა და შარდის ანალიზი მოუთხოვია, მაგრამ ლაბორანტი აბაშაში არ აღმოჩენილა. საჭირო გახდა ინფექციური განყოფილების გამგის გამოძახება, მაგრამ ვერც ის უპოვიათ. ავადმყოფს ტკივილებმა ოდნავ უკლო. ჰოდა, მეურნეობამაც სულ უკლეს ყურადღებას...

21 ოქტომბერს ავადყოფის მდგომარეობა

ველავ გაუთარესდა. ახლა კი ქირურგ კიზირიას
ველარ შეუკავებია თავი და უთქვამს მგონი.
მწვავე აპენდიციტთან გვაქვს საქმე და საჭი-
როა სასწრაფო ოპერაციაო. ყოველივე ამის
შემდეგ ავადმყოფი, როგორც იქნა, დააწვი-
ნეს ქირურგიულ განყოფილებაში. საავად-
მყოფოში ქირურგიული განყოფილება კი
არის, მაგრამ არსად ჩანდნენ თვით ქირურ-
გები. ერთმა ღმერთმა უწყის, სად იყვნენ
ისინი, ან თვით განყოფილების გამგე გ. ბ. ან-
ჯაფარიძე. როგორც გამორკვეა, ზოგი ცხაკა-
იაში იყო, ზოგი — სამტრედიიაში, ზოგი — თბი-
ლისში...

ოპერაციის გადადება არ შეიძლებოდა, მაგრამ არც დამხმარე ექიმის გარეშე შეიძლება მისი ჩატარება. ამიტომ გამოიძახეს ნევროპათოლოგი, მაგრამ ამ დროს, იღბლად (თუმცა, რა იღბალია?!), თბილისიდან ჩამოვიდა ქირურგიული განყოფილების გამგე გ. ანჯაფარიძე და, ასე, ავადმყოფის სტაციონარში მოთავსებიდან მესამე დღეს, მწვავე აპენდიციტის ოპერაცია დაიწყო (ოპერატორი ი. კიზირია).

ჩვენ ამ სავალალო ფაქტის გამო, სპეციალისტთან ერთად, წავედით აბაშაში: ავადმყოფის ისტორიისა და ზემოხსენებული ოპერაციის თაობაზე უმჯობესია, გავცნოთ რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური სავადმყოფოს წარმომადგენლის მოხსენებით ბარათს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამკურნალო სამმართველოსადმი: „...მკურნალობაში დაშვებულია შემდეგი ორგანიზაციული და ტექტიკური შეცდომები:

1. ავადმყოფის არასაფუძვლიანი გასინჯვისა და დამხმარე მეთოდების გამოყენების შეუძლებლობის (ლაბორატორიული გამოკვლევები) გამო დგვიანდა დიაგნოზის დადგენა;

2. საავადმყოფოში ქირურგიული დახმარების სუსტი ორგანიზაციის გამო (განყოფილების გამგის არყოფნა, სხვა სპეციალისტების გაცლა რაიონიდან და მთელ რაიონში მხოლოდ ერთი ქირურგის — ი. კიწირიას დატოვება) გაჭიანურდა ოპერაციის დროული დაწყება.

3. ...გამონადენის არსებობის შემთხვევაში
მიწანზეუწონელია მუცლის ღრუს ყრუდ და-
ხურვა;

4. ოპერაციის შემდგომი ვართულებების მკურნალობის დაზუსტების მიზნით აუცილებლად უნდა მოეწვიათ მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რისი საშუალებაც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ყოველთვის აქვს“. (სტილი დაცულია).

ყველა ამ მიუტევებელი შეცდომის შედეგად მოქ. მ. გ-ლი გარდაიცვალა.

ლიახ!.. ამაშის რაიონის ცენტრალური სა-
ვადმყოფო 240-საწოლიანია. მისი მოსამსა-
ხურე და მედპერსონალი 300 კაცზე მეტია.
მათ შორის 59 ექიმია. შენობა ახალია და კე-
თილმოწყობილი, უკანასკნელი ტექნიკით აღ-
ჭურვილი საოპერაციო ბლოკით. იგრძნობა
რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მზრუნველი
ხელი, მაგრამ საავადმყოფოს მთავარ ექიმს —
ჯ. გ. ნიკოლაიშვილს და მთავარი ექიმის მო-
ადგილეს **სამკურნალო დარგში — ი. ა. თო-
ფურიას** ჯერ არ განუხორციელებიათ სპირო-
ლონისძიებანი ელემენტარული წესრიგის და-
სამყარებლად, არ მოუვლიათ ექიმ-გასტრო-
ლიორებისათვის, რომელნიც, ალბათ, ვერ
ეტყვიან რაიონის ფარგლებში. არ გამოუტა-
ნიათ სათანადო დასკვნები სავალალო ფაქტე-
ბიდან, ბევრი არაფერი გაუქვეთებიათ დაუ-
დევრობისა და შეცდომების თავიდან ასაცი-
ლებლად.

და ეს მაშინ, როცა ექიმის შეცდომის ფასი
ადამიანის სიცოცხლეა.

ტელეფონები:

99-76-69

65-19-42

93-10-78

99-49-32-
5
14

ნახატი თემების ავტორი.

ნ: მ. აბაშიძე, ა. კოკო-

ილია, ვ. კუცია, ვ. ლომიძე,

03/03/03, 0. 03/03/03

და იუმორის უპრადი .. ნიანი...

ბი № 42, © სპარტელოს კვ ცკ-ის

6/111-74 წ. ქალაქის ზომა 70x10

[illegible]

Тбилиси, ул. Дзержинского, № 14.

საგუდაშტოე ურუმეი: ზ. გულფამე (პ/მ. დღეობი), გ. ზემინი, მ. ვანკანი
ნოფინი (მ. ჯ. მელია) ნ. შველიძე პ. ყრიხალვა, ი. ელიძე, ც. საბ

8. მისთვისაა (თქმული) გ. კახალავილი, © თბილისი, რუსეთში, პრინცი

მომცემლობა, გ. ბაქაძე 11/11-74 წ., ხელმოწერილია დასაბამად

ფურცელი 1. სააღრიცხვო-საგამოცემო თაბახი 1,4

თბილისი, ლენინის ქ. 14 ☉ შპს. 554. უფ. 01667 ბირჟა 134.000 ☉ გილისი, პრ. რე-

მთავარი რედაქტორი

ფურდან გეგაზაშვილი

ენერგეტიკული კრიზისის წყალობით, ნავთობის მონოპოლიები ზღაპრულ მოგებას იხვეპენ და ამით აბუჩად იგდებენ რიგითი ადამიანების ელემენტარულ მოთხოვნებს.



გულივარი გოლიათების კეპუანაში.